ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1266721

ნომერი: AR1217191

თარიღი : 05.05.2014

გაცემის თარიღი : 14.05.2014

გაცნობის თარიღი : 16.05.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ხეივანი დავით აღმაშენებელი , N 240 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნელი ნიკვაშვილი პ/ნ 01024051670
- თბილისი ვ.გაბაშვილის ქ. N 5 ბ. 3

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1217191 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებით დასკვნას, თქვენს დაინტერესებაში არსებულ ტერიტორიაზე, სავაჭრო ფუნქციის მქონე შენობა–ნაგებობის განთავსებასთან დაკავშირებით. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთი, შედის იმ ტერიტორიის არეალში, რომელზეც არქიტექტურის სამსახურის მიერ, 2012 წლის 17 სექტემბერი №352212 ბრძანების საფუძველზე შეთანხმებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი.

აქვე გაცნობებთ, რომ აღნიშნული განშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით, მოცემულ ტერიტორიაზე არ არის გათვალისწინებული რაიმე სახის შენობა–ნაგებობის განთავსება. ამასთან განგიმარტავთ, რომ, მიწის ნაკვეთის დანიშნულება სასოფლო–სამეურნეო ფუნქციის არის, რომელზეც არ არის დაშვებული საზოგადოებრივი ფუნქციის მქონე შენობა–ნაგებობის განთავსება.

დამატებით მოგახსენებთ, რომ ტერიტორიის სამშენებლო განვითარებაზე მსჯელობა, არქიტექტურის სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია, მხოლოდ შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის კორექტირების კუთხით.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, არქიტექტურის სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს დადებითი ქალაქგეგმარებითი დასკვნა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge